## *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის*
## ოქმი №1

ქ. ვანი 13 05 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მურად ახვლედიანი - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.
აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.
რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.
თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით*

- მთისძირის თემში, ჭაგან-ჭყვიშში აჭარლების დასახლებაში გზის შეკეთება
- ქ. ვანში მშვიდობის ქუჩაზე გარე განათების 13 სანათის მოწყობა
- ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩის პირველ შესახვევში გარე განათების 7 სანათის მოწყობა
- ქ. ვანში თავისუფლების ქუჩის ახალ უბანში მ. ღვინიანიძის სახლიდან გარე განათების 8 სანათის მოწყობა
- შუამთის თემში კულტურის სახლთან გარე განათების მოწყობა
- ქ. ვანში ტაბიძის ქუჩაზე (ფურნის დასახლება) გარე განათების 5 სანათის მოწყობა
- შუამთის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- სალხინოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ტობანიერის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი

*საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსის ხელახალი გამოცხადების შესახებ.*

*მოისმინეს:* ინფორმაცია, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით ზემოაღნიშნულ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 30 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში უ/ნ 1227 მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ პრეტენდეტს და კონკურსი არ შედგა.
შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე უნდა გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.

დაადგინეს:

1) აღნიშნულ სამუშაობზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: მურად ახვლედიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

1. შოთა კორძაძე
2. აკაკი წერეთელი
3. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი